ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში ქრისტესთვის წამებულთა სახელობის სკოლის“

წესდება

თავი I

ორგანიზაციის სტატუსი, ორგანიზაციის მიზნები

მუხლი 1. ორგანიზაციის ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმა. სახელწოდება.

1. წინამდებარე აქტი წარმოადგენს წესდებას კერძო სამართლის არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირისა (შემდგომ ტექსტში-„ორგანიზაცია“).
2. ორგანიზაციის სახელწოდებაა: „საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში ქრისტესთვის წამებულთა სახელობის სკოლა“ .

მუხლი 2. ორგანიზაციის იურიდიული მისამართი , ორგანიზაციის ხანგრძლივობა

1. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია: დაბა ხულო დავით აღმაშენებლის ქუჩა №9.
2. ორგანიზაცია შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 3. ორგანიზაციის ბეჭედი

1. ორგანიზაციას შეიძლება ქონდეს ბეჭედი.
2. ორგანიზაციის ბეჭდის დამზადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, ორგანიზაციის დამფუძნებელი, რომელიც ადგენს ბეჭდის ზომებსა და სხვა რეკვიზიტებს.

მუხლი 4. ორგანიზაციის დოკუმენტის რეკვიზიტები

1. ორგანიზაციის მიერ გაცემულ ყველა დოკუმენტზე (წერილზე) უნდა მიეთითოს:

ა) ორგანიზაციის სრული სახელწოდება;

ბ) ორგანიზაციის იურიდიული მისამართი;

გ) ორგანიზაციის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების თანამდებობა, მათი სახელი და გვარი.

2. ლიკვიდაციის პროცესში ყოფნის შემთხვევაში დოკუმენტზე დამატებით უნდა მიეთითოს, ის ფაქტი რომ მიმდინარეობს ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესი, აგრეთვე ლიკვიდატორის ვინაობა.

მუხლი 5. ორგანიზაციის მიზნები და საქმიანობა

1. ორგანიზაციის მიზანია:

ა) ზოგადი განათლების მიცემა დაწყებითი ან/და საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე;

ბ) მოსწავლეთა აღზრდა ქრისტიანული ღირებულებების შესაბამისად;

გ) სხვა საქმიანობა, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით და რაც შეესაბამება ეკლესიის ავტორიტეტს, ქრისტიანულ მოძღვრებას და მოსწავლეთა აღზრდის ამოცანებს.

2. ორგანიზაცია შეიძლება ეწეოდეს ნებისმიერი სახის საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და რომელიც პირდაპირ ან/და არაპირდაპირ ემსახურება ორგანიზაციის მიზნის განხორციელებას.

თავი II
დამფუძნებელი, მმართველი ორგანოები

მუხლი 6. ორგანიზაციის დამფუძნებელი

1. ორგანიზაცია არ არის წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირი.
2. ორგანიზაციის დამფუძნებელია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (იგივე - „საქართველოს საპატრიარქო“) (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ერეკლე II-ის მოედანი №1, გადასახადის გადამხდელის №204395537).

მუხლი 7. ორგანიზაციის დამფუძნებლის კომპეტენცია

1. ორგანიზაციის უმაღლესი მმართველი ორგანოა ორგანიზაციის დამფუძნებელი.
2. დამფუძნებელი გადაწყვეტილებას იღებს ერთპიროვნულად, მათ შორის, შემდეგ საკითხებზე:
   ა) ორგანიზაციის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია;
   ბ) ორგანიზაციის (სკოლის) შიდა დებულებისა და სკოლის შინაგანაწესის დამტკიცება;
   გ) ორგანიზაციის ბიუჯეტისა და ცალკეული პროექტების დამტკიცება;
   დ) ორგანიზაციის (სკოლის) დებულებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული საკითხები;
   ე) ორგანიზაციის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი საკითხი, რომელთა შესახებ გადაწყვეტილების მიღებას მიზანშეწონილად მიიჩნევს დამფუძნებელი.

მუხლი 8. აღმასრულებელი ორგანო

1. ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანოა დირექტორი.
2. დირექტორი ინიშნება უვადოდ.
3. დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებელი.
4. დირექტორი:
   ა) დირექტორი მოქმედებს დამფუძნებლის გადაწყვეტილებების ფარგლებში, ამასთან, ორგანიზაციის დაფუძნების აქტით დადგენილ შემთხვევაში გარიგებას დებს მხოლოდ დამფუძნებლის თანხმობის საფუძველზე და ამ თანხმობის ფარგლებში;
   ბ) მოქმედებს ორგანიზაციის სახელით, წარმოადგენს მას , როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, ორგანიზაციის სახელით დებს ხელშეკრულებებს;
   გ) ხელმძღვანელობს პროგრამებისა და პროექტების შედგენას და უზრუნველყოფს მათ რეალიზაციას;
   დ) დამფუძნებელს დასამტკიცებლად წარუდგენს ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, გეგმებსა და მიზნობრივ პროგრამებს, წლიური საქმიანობის ანგარიშს;
   ე) უზრუნველყოფს დამფუძნებლის გადაწყვეტილებათა შესრულებას;
   ვ) უზრუნველყოფს ორგანიზაციის საფინანსო საქმიანობის კანონიერებას;
   ზ) მოითხოვს ანგარიშვალდებულ პირთა ანგარიშს მათი საქმიანობის შესახებ;
   თ) უზრუნველყოფს საქმისწარმოებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
   ი) დებს შრომით კონტრაქტებს ორგანიზაციის სახელით;

კ) ასრულებს ამ წესდებითა და დამფუძნებლის აქტებით დადგენილ სხვა ფუნქციებს.

მუხლი 9. წამომადგენლობითი უფლებამოსილება

1. ორგანიზაციის ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს ორგანიზაციის დირექტორს.
2. დირექტორი მოქმედებს დამფუძნებლის გადაწყვეტილებების ფარგლებში, ამასთან ორგანიზაციის დაფუძნების აქტით დადგენილ შემთხვევებში გარიგებას დებს მხოლოდ დამფუძნებლის თანხმობის საფუძველზე და ამ თანხმობის ფარგლებში.

თავი III
ცვლილებები წესდებაში
რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 10. ცვლილებები წესდებაში

1. ცვლილებები ორგანიზაციის წესდებაში შეიტანება დამფუძნებლის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით.
2. ნებისმიერი ცვლილება, რომელიც წარმოადგენს სარეგისტრაციო ფაქტს, სანოტარო წესით დამოწმებული სახით უნდა წარედგინოს მარეგისტრირებელ ორგანოს.
3. ორგანიზაციის დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს სარეგისტრაციო ფაქტების წარდგენა მარეგისტრირებელი ორგანოსათვის.

მუხლი 11. რეორგანიზაცია.ლიკვიდაცია

1. ორგანიზაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება დამფუძნებლის გადაწყვეტილებით;
2. ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს. ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. ორგანიზაციის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადაეცემა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს.

დამფუძნებელი _____

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N230544004
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	28.04.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ხათუნა დევაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ხულო თამარ მეფის ქუჩაN 5ბ
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	591701121
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	30308067613123

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდარვა აპრილი მე, ნოტარიუს ხათუნა დევაძეს, სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ხულო, თამარ მეფის ქუჩა N 5 მომმართეს ბატონმა გოჩა აბულაძემ, რომელმაც მოითხოვა წარმოდგენილ დოკუმენტზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად: გოჩა აბულაძემ (დაბ: 14.06.1950წ მცხ: დ. ხულო დ.აღმაშენებლის ქ. N 9 პირადი N 01011019522), .მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე გოჩა აბულაძემ, განვუმარტე, რომ დოკუმენტში გადმოცემულ ფაქტებზე ნოტარიუსი პასუხს არ აგებს და აღნიშნულით დასტურდება მხოლოდ ის, რომ დოკუმენტზე ხელი ნამდვილად გოჩა აბულაძემ, მოაწერეს. განმარტებების შემდეგ განმცხადებელმა წაიკითხა წარმოდგენილი დოკუმენტი, განაცხადა, რომ ის ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი განცხადებას, რასაც ვამოწმებ

. დოკუმენტი წარმოდგენილის 5 (ხუთ) ეგზემპლიარად. თითოეულ ეგზემპლიარზე დამოწმებულია 3(სამი) ხელმოწერა.

გადახდილია საზღაური: სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის 60.00 ლარი აგრეთვე სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 507 დადგენილების "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლის მე-3, მე-14 პუნქტების, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის

ნოტარიუსი_____

საქართველო. ნოტარიუსი ხათუნა დევაძე
ГРУЗИЯ. НОТАРИУС ХАТУНА ДЕВАДЗЕ
ХАТУНА ДЕВАДЗЕ
61001001926